ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01191212856**
თარიღი: **01/05/2019**
პინი: **5485**

ადრესატი: მაია ჯაყელი
პირადი ნომერი: 01015022408
მისამართი: თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 103 კორ. 2 ბ. 11

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N19/01183253086-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი კრწანისი, გორგასლის ქუჩა N7, პურის ქარხნის მიმდებარედ (საკ. კოდი 01.18.09.008.004) 2013 წლის N672636 (AR1120792) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

ნაწარმოები მშენებლობა არ შეესაბამება საპროექტოს. შეცვლილია შენობის ფორმა და გაბარიტები, მზიდი კონსტრუქციების მოწყობა, სართულების სიმაღლე და სახურავის მოწყობის კონსტრუქცია. შეცვლილია ღიობებისა და კიბეების რაოდენობა და მდებარეობა. ტერიტორიაზე დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია მსუბუქი გადახურვით. ნაწილობრივ შეცვლილია საპროექტო გრუნტის ნიშნული.

„დ“ ღერძთან დამატებით მოწყობილია საყრდენი კედელი.

შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, გაზრდილია მიწის ნაკვეთის ფართი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **20191302**
თარიღი: **10/05/2019**
პინი: **7583**

ადრესატი: ავთანდილ ლომსაძე
პირადი ნომერი: 01019015694
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, სვანეთის ქუჩა, N 23

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

განცხადების ნომერი: 0119121997-67
განცხადების თარიღი: 01/05/2019

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

- საკადასტრო კოდი :01.18.09.008.043
- მისამართი :ქალაქი თბილისი, ქუჩა გორგასალი, N 7 პურის ქარხნის მიმდებარედ
- ნაკვეთის დანიშნულება :არასასოფლო სამეურნეო
- მესაკუთრეები : შპს "წყარო"

განმცხადებელი-დამკვეთი :ავთანდილ ლომსაძე
პირადი ნომერი :01019015694
მისამართი :საქართველო, ქალაქი თბილისი, სვანეთის ქუჩა, N 23

განმცხადებელი-დამკვეთი :მაია ჯაყელი
პირადი ნომერი :01015022408
მისამართი :თბილისი ვ.გორგასალის ქ. N 103 კორ. 2 ბ. 11

ნომენკლატურა :სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი N0119121997-67, N0119115158-67 (25.04.2019, 01.05.2019წ.) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქი თბილისში, გორგასალის ქუჩა N 7, პურის ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N№01.18.09.008.043) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი - ავტოსამრეცხაო, ადმინისტრაციული შენობა (ოფისი), კაფე, მაღაზიის განთავსების მიზნით სპეციალური (ზონალურ) შეთანხმების გაცემას.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 06 მაისის N№01.01191269 ბრძანებას და N67-01191231925 (03.05.2019წ.) ქალაქგეგმარებით დასკვნას.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბრძანება:ბ**01.01191269**

თარიღი:**06/05/2019**

ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7, პურის ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.008.043) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის (ავტოსამრეცხაო) განთავსებისა და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 და მე-9 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 3 მაისის N67-01191231925 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7, პურის ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.008.043) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის (ავტოსამრეცხაო) განთავსებისა და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანება ძალაშია მისი ძალაში შესვლიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის 3 მაისის N67-01191231925 დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს მაია ბითაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**67-01191231925**
თარიღი: **03/05/2019**

ადრესატი:

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია	
დასკვნა: დადებითი	
განცხადების ნომერი	0119121997-67, N0119115158-67
განცხადების თარიღი	25.04.2019, 01.05.2019წ.
ნომენკლატურა	ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური / სპეციალური (ზონალური) შეთანხმება / საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა
მისამართი	ქალაქი თბილისი, გორგასალის ქუჩა N 7, პურის ქარხნის მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი	№01.18.09.008.043 (არასასოფლო–სამეურნეო)
ფართობ(ებ)ი	418.00 კვ.მ.
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს „წყარო“
არსებული ფუნქციური ზონა(ები)	**საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)** *მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–1= 0,5 * / 0,7* *მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი: კ–2=4.6* *მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი: კ–3=0.2* *მინიმალური ფართობი 700 კვ.მ* *მინიმალური სიგანე 20 მეტრი* *მინიმალური სიღრმე 30 მეტრი* **შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის**

მოთხოვნილი პარამეტრები *(არსებობის შემთხვევაში)*	____
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება	სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი - ავტოსამრეცხაო, ადმინისტრაციული შენობა (ოფისი), კაფე, მაღაზია
განმცხადებლის მოთხოვნა	სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი - ავტოსამრეცხაოს განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა და ნაკვეთის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა

საკითხის აღწერა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს 2019 წლის 25 აპრილს N0119121997-67 განცხადებით მომართა დაინტერესებულმა პირმა და მოითხოვა ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა N 7, პურის ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.008.043) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის - ავტოსამრეცხაოს განთავსებისთვის და ნაკვეთის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა.

საპროექტო მიწის ნაკვეთი დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკის მიხედვით, მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2), რომელიც წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება ტერიტორიულ–სტრუქტურული ზონები: დედაქალაქის ტერიტორიების ათვისების დაბალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი ტერიტორიული ელემენტი - პერიფერიული ზონა და ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის ნიშნით გამოყოფილი - გეგმარებითი კარკასი.

საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო–დასავლეთის საზღვრის გარდა სამი მხრიდან ესაზღვრება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1), ნაკვეთის გარემო წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეული ფუნქციის განაშენიანებას, საპროექტო ტერიტორიაზე გაცემულია N1462 (10.04.2010წ.) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ავტო-სარემონტო სახელოსნოს და ოფისის ფუნქციით, №672636 (07.05.2013წ.) ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა. ვინაიდან საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ–2)–ში სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი წარმოადგენს საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობას, საკითხი განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების კუთხით. ამასთან საპროექტო მიწის ნაკვეთი თავისი გაბარიტული ზომებით (ფართობი, სიღრმე) არ არის შესაბამისობაში ტერიტორიაზე არსებულ ფუნქციურ ზონის რეგულაციებთან, რის გამოც ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისთვის საჭიროა განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა.

დასკვნა

ვინაიდან, საპროექტო ტერიტორიის გარემო წარმოადგენს შერეული ფუნქციის განაშენიანებას, ნაკვეთს სამი მხრიდან ესაზღვრება მისასვლელი გზა და ტერიტორიაზე უკვე გაცემულია მშენებლობის ნებართვა ავტო-სარემონტო სახელოსნოს და ოფისის ფუნქციით, სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის განთავსება არ გამოიწვევს არსებულ განაშენიანებაში ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას და არ შეიტანს დისონანს გარემო

განაშენიანების სტრუქტურაში.
სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა N7, პურის ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.008.043) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის - ავტოსამრეცხაოს განთავსება ისე რომ ავტოსამრეცხაოს მომსახურება არ აღიქმებოდეს ქუჩის მხრიდან, დაცულ იქნეს ჩაუხედავობის პრინციპი.
აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ნაკვეთის განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის და სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის - ავტოსამრეცხაოს განთავსების მიზნით.

სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	
სამართალურთიერთობის მიმართ გამოსაყენებელი ნორმატიული აქტები:	1.„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილება; 2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილება;
	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მ იწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1-0.5*/0.7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2-4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3-0.2 მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ ***მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისთვის;** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების

სამართლებრივი დასკვნა:	დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მიწის ნაკვეთები და შენობები-ნაგებობები, რომლებიც არ შეესაბამებიან განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებს წინა მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პარამეტრების შესაბამისად და შესაბამისობის უზრუნველყოფა შეუძლებელია, წარმოადგენენ განპირობებულ (იძულებით) შეუსაბამო უძრავ ობიექტებს. იმავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, განპირობებული (იძულებითი) შეუსაბამო სტატუსის მქონე უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას, რომელიც გაიცემა ამ თავის მოთხოვნათა შესაბამისად. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის იძულებით (განპირობებული) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისათვის ინდივიდუალური პარამეტრების დასადგენად. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განპირობებული (იძულებით) შეუსაბამო უძრავი ობიექტებისთვის, განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პირობით, ხდება ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ინდივიდუალური პარამეტრების დადგენა, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს ტერიტორიის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას, არ უნდა ლახავდეს სხვა მესაკუთრეთა ინტერესებს, და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს არსებული განაშენიანების გეგმარებით, მოცულობით-სივრცით და ესთეტიკურ პარამეტრებს. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი - ავტოსამრეცხაო წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობებიდან ერთ-ერთს რომელიც

	საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: *ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის;* *ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი.* ზემოაღნიშნული სამართლებრივი რეგულაციებისა და საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ჩამოყალიბებული განაშენიანების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა N7, პურის ქარხნის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.09.008.043) სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტის (ავტოსამრეცხაო) განთავსებისა და ინდივიდუალური პარამეტრების დადგენის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია.

ალექსანდრე ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

KA021729752391019

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/34447

10 / ივნისი / 2019 წ.

შპს „წყარო“-ს წარმომადგენელს
ბ-ნ. მამუკა ჯაფელს
მის. ქ. თბილისი, გორგასალის ქ. N111

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსულ თქვენს 21.05.2019წ. N52759/ფ განცხადებასთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვთ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N7-ში პურის ქარხნის მიმდებარედ შპს „წყარო“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.18.09.008.043) საზღვრებში შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე თანხმობის გაცემას, მიწის ნაკვეთზე გამავალი სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული კანალიზაციის მილის (ს/კ N01.01.754) გამო, გაცნობებთ, რომ სააგენტო თავისი კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი შპს „თბილსერვის ჯგუფი“-ს თანხმობის შემთხვევაში, ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N7-ში პურის ქარხნის მიმდებარედ შპს „წყარო“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.18.09.008.043) საზღვრებში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით განხორციელდეს შენობა-ნაგებობების მშენებლობა უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

ამასთან ერთად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, გორგასალის ქ. N7-ში პურის ქარხნის მიმდებარედ, შპს „წყარო“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ N01.18.09.008.043) საზღვრებში წარმოდგენილი პროექტის მიხედვით შენობა-ნაგებობების მშენებლობის შედეგად სახელმწიფოს არ უნდა წარმოეშვას რაიმე სახის ვალდებულება, არ უნდა მიადგეს რაიმე სახის ზიანი.

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე — გიორგი დუგლაძე